№2190 2013 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე.

2. სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ 2013 წლის საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა განსაზღვროს შტატით გათვალისწინებულ

თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების წლიური ოდენობის არაუმეტეს 30%-ით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**